K 136801
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი ჭიჭა

ცისარტყელა

„ნაკადული"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსი ბობღა

ცისარტყელა

ნაკადული
თბილისი
1·9·6·9

მარქსის სახ. სახ. საჯარო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა

ელზა ახვლედიანმა

სპეგ-2000
შემოწმებულია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა ყანსოუს შინნაქსოვი შალის ბლუზა ეცვა, იატაკზე გაწოლილიყო და ჭუჭრუტანიდან გასცქეროდა ჩაშავებულ მთებს. წვიმას გადაელო. ღრუბლები მთებიდან მაღლა, სულ მაღლა მიიწევდნენ.

წელიწადის რა დრო უნდა იყოს, რომ მთებმა ათასნაირად არ იცვალონ ფერი! ზამთრობით თეთრად არიან შესუდრულები; გაზაფხულზე მწვანედ უხასხასებთ კალთები, თოვლი აქა-იქ თუ შემორჩებათ ხოლმე თეთრ ლაქად; ზაფხულში მზის სხივებდაფრქვეულთ ოქროსფერი გვირგვინი ადგათ თავზე; შემოდგომაზე კი... ახლა შემოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომაა, სადღაა მათი ლამაზი სამოსელი: გაშიშვლებულან, სიცივისგან გალურჯებულან მთები.

ყანსოუ დაუინებით გასცქერის მთებს, იქნებ ცისარტყელას მოვკრაო თვალი. ბევრჯერ უნახავს, წვიმა რომ გადაიღებდა, მთებიდან შვიდფერი ცისარტყელა ამოიზიდებოდა, მიდამოს რკალად გადაევლებოდა და მდინარეში ჩაყვინთავდა. ამბობდნენ, ცისარტყელა მდინარეში წყალს სვამსო. ყანსოუ ვერ მიმხვდარიყო, რად სვამდა ცისარტყელა მდინარის წყალს, ისიც ნაწვიმარზე. უფროსებისაგან ისიც გაეგონა, ცისარტყელას დარი მოაქვსო. ეს კი სჯეროდა; ცისარტყელა ხომ ძალიან ლამაზი იყო.

ყანსოუ კვლავ მთებს გასცქეროდა. შორით ხედავდა: მოლურჯო-მოშავო კალთები თეთრ ნაკადულებს დაესერათ.

აღარსად ჩანდა ის თეთრად გაწოლილი ღრუბელი, დარში რომ კვამლივით ამოიმართებოდა ხოლმე მთებიდან. „ამ მთების გადაღმა გოლიათები სხედან და ჩიბუხს აბოლებენ", — ეტყოდა მამა და სიცილით ღრუბელზე ანიშნებდა. მერე ჩაფიქრებული დაუმატებდა: „გოლიათები ჩემი მეგობრები არიან. რომ იცოდე, რა კეთილი და გულადი ხალხია! მალე ჩვენს სოფელში მოვლენ, მდიდრებს ძალაუფლებას წაართმევენ და ღარიბებს თავისუფლებასა და ბედნიერებას მოუტანენო".

— ეს გოლიათები ამ მთაზე რომ შედგნენ, ცას თუ მიწვდებიან? — ჰკითხა მაშინ ყანსოუმ. მამას გაეცინა: ვიხუმრე, ისინი ჩვეულებრივი, კეთილი, სამართლიანი და გულადი ხალხიაო. მაგრამ ყანსოუს ასე ადვილად ვეღარ დააჯერებენ, მამის მეგობრები მართლა გოლიათები არიან, თუ მოინდომებენ, ზეცასაც შეწვდებიან.

„ის თეთრი ღრუბელი არსადა ჩანს, ეტყობა, გოლიათები აქეთ მოდიან და ჩიბუხის მოსაწევად არა სცალიათ", — ფიქრობს გახარებული ბიჭი, მაგრამ გულში შიში მაინც ეპარება.

ამას წინათ გვიან ღამით მამა დაადგა თავზე. იარაღასხმული, წვერმოშვებული ვაჟკაცი მხნედ და მხიარულად გამოიყურებოდა.

შვილს დავალება მისცა: მენშევიკთა გვარდიელებს უთვალთვალე, თავად ზაფასის სახლში დაიდეს ბინა. თუ ახალი რაზმები მიემატებათ, შებინდებისას აქ დაგველოდე, ჩვენც წუთში გავჩნდებით და ამბავს შენგან შევიტყობთო.

ჰოდა, უცდის ახლა ყანსოუ მამასა და მის მეგობრებს. გვარდიელებს მაშველი რაზმები მოუვიდათ. გუშინდელს აქეთია ყვირიან, სოფელში დაძრწიან, თავადი ზაფასიც ცხენზე შემჯდარა, გვარდიელებს კუდში დასდევს და გლეხებს სიკვდილით ემუქრება.

„მალე მაინც მოვიდოდნენ, — ფიქრობს ყანსოუ,—მაშინ ნახეთ, ზაფასს რა დღე დაადგება!“ იმ ღამეს მამამ აკი უთხრა, ზაფასს ეშინოდა, თორემ აქამდე ცხრაჯერ გადაწვავდა ჩვენს სახლს, ნათესავშინაურებს ციხეში ამოგვილპობდა, არც შენ მოგერიდებოდაო. აქამდე ვერ ბედავდა, ეტყობა, საკუთარი თავის იმედი არა ჰქონდა. ახლა კი გვარდიელები გვერდით ჰყავს და აღარაფერს არ მოერიდებაო: „ზაფასი ვერ მოესწრება ამ დღეს. მამა და მისი მეგობრები საცაა მოვლენ და გვარდიელებს შავ დღეს დააყრიან!“ — გუნებაში იმუქრებოდა ბიჭი.

ყანსოუს განა როდისმე დაავიწყდება: ერთხელ ზაფასმა თავის დუქანთან ყანსოუს ფუმფულა კატას მოჰკრა თვალი. ბიჭებს უბრძანა, დაიჭირეთ, ნავთი გადაასხით და ცეცხლი წაუკიდეთო. ყანსოუს ცრემლი ახრჩობდა, ვერაფრით ვერ მიშველებოდა ცეცხლის ბურთად ქცეულ საყვარელ კატას. ზაფასი კი იდგა და ხარხარებდა, თვალები გადმოკარკლოდა, ერთიანად აჭარხლებულიყო, ვეებერთელა ღიპი უთახთახებდა.

ზაფასის თეთრი სასახლე მაღლობზე იდგა. ისე კეკლუცად გადაჰყურებდა მთელს სოფელს, თითქოს ღარიბთა ქოხმახებს ნიშნს უგებდა: ჩემს სამსახურში უნდა დალიოთ სული, ხელის გულზე მატაროთ, მე კი მაღლიდან დაგცქეროდეთო.

ყანსოუს სძულდა, ძალიან სძულდა ზაფასი. ზაფასსაც არ უყვარდა პატარა ბიჭი.

— სულ მამასა ჰგავს ეს ძალლიშვილი. ერთი შეხედეთ, რა თვალებით იყურება, — სისინებდა ზაფასი. ჩოფურა, მსუქანი სახე ხან წამოუწითლდებოდა, ხანაც ლურჯი ფერი გადაჰკრავდა: — უუჰ, თქვე მათხოვრებო! ჯერ სადა ხართ, მალე უარეს დღეს დაგაყრით... შეგაბამთ უღელში და ჰაიდა! ურემს ქვებით დავტვირთავ, მათრახის ცემით იმ მაღალ მთებში აგათრევინებთ!

მერე კარგა ხანს ესმოდა სოფელს მისი მედიდური და საზიზღარი ხორხოცი.

„მაგასაც ვნახავთ, ვინ დარჩება გამარჯვებული. საცაა ჩვენები მოვლენ და მაშინ სხვა ხმაზე ამღერდები“. ყანსოუმ უღელში შებმული ზაფასი წარმოიდგინა, თვითონ ურმის კოფოზე შემომჯდარა, ხელში გრძელი წკეპლა მოუმარჯვებია და ქვებით პირთამდე სავსე ურემს მთებში მიათრევინებს ენაგადმოგდებულ თავადს.

დაღამდა. მთებმა შავი ნაბადი მოისხეს. ყანსოუს შესცივდა, ბლუზა აღარ ათბობს. ნეტავ სად არიან აქამდე, რატომ არ მოდიან. ჯიბეში კვეს-აბედი უდევს. ნეტავ შეეძლოს ცეცხლის გაჩაღება დაობლებულსა და გაციებულ კერაზე. დედა რომ მოუკვდა, ბიჭი ნათესავებმა შეიფარეს, სახლი გამოკეტეს და იმ დღიდან მათ კერაზე ცეცხლი არ დანთებულა. ვინ იცის, იქნებ მამა ყველას უჩუმრად მოდიოდა აქ უმთვარო ღამეში და გამოცარიელებული სახლის კედლებს თვალზე ცრემლმორეული ეალერსებოდა!.. რა კარგია, საცაა მამას ჩაეკვრება მკერდში. იქნებ სჯობდეს მათ მოსვლამდე გააჩაღოს ცეცხლი, აგუზგუზებულ კერასთან ჩამოჯდეს და საყვარელი დედა მოიგონოს. ამასობაში ისინიც მოვლენ და სასიხარულო ამბავს მოუტანენ: ზაფასმა შენი ჭირი წაიღოო, ეტყვიან... ნეტავ, სად არიან აქამდე, რატომ იგვიანებენ?..

უეცრად აივანზე კარი გაჯახუნდა. ოთახში ვიღაც შემოვიდა. ყანსოუ წამოხტა, მაგრამ იქვე გაშეშდა: მის წინ გვარდიელი იდგა. გაცრეცილი და გამოხუნებული მუნდირი ეცვა, ხელში შაშხანა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწ. ბიბლიოთეკა

ემარჯვებინა. ბიჭს რომ თვალი ჰკიდა, გვარდიელი თვითონაც შეკრთა, მაგრამ მალე გამოერკვა და ნელ-ნელა, ჩექმების ბრახუნით მიუახლოვდა.

ყანსოუს გული ისე შეუქანდა, ეგონა, მკერდიდან ამოუვარდა და სადღაც უფსკრულში ჩაეჩეხა. გვარდიელმა დიდი, გაყინული ხელი ჩაავლო საყელოში და ისე მაგრად უჭიკავა, რომ ყანსოუმ თავი ვერ შეიკავა, კარს მიეხეთქა, დერეფანში გავარდა და ეზოში ატალახებულ მიწას დაასკდა. გაოგნებული და შეშინებული ბიჭი მაშინვე წამოხტა, ეზოს თვალი მოავლო. ეზო სავსე იყო გვარდიელებით. ზაფასიც დაინახა. მისკენ მოდიოდა, ჩაწითლებული თვალები გადმოეკარკლა, მძიმედ სუნთქავდა, უზარმაზარი ღიპი აუდ-ჩაუდიოდა.

— აქ ვის ელოდები, ბიჭიკო? — შემპარავად ჩაუსისინა ზაფასმა.

— სახლი მომენატრა, — ყანსოუ თვალს არ აცილებდა ზაფასს.

— სახლი მოგენატრა?

— ჰო, მომენატრა.

— გესმით, რას ამბობს ეს ლაწირაკი! — ზაფასმა ისე შეანჯღრია ბიჭი, გეგონებოდათ, საცაა დაფშვნისო. — გიჯობს სიმართლე თქვა. განა არ ვიცით, მამას—შენს გმირ მამას რომ ელოდები. ორივეს გიჩვენებთ, რა გმირებიცა ხართ, მათხოვრებო!.. — ზაფასმა ერთი მაგრად შეიგინა და ბიჭს სილა შემოჰკრა სახეში. ყანსოუ დაბარბაცდა, მაგრამ თავი დროზე შეიკავა, რომ არ დაცემულიყო. რამდენსამე ხანს ეგონა, თვალებიდან ნაპერწკლები მცვივაო.

— სახლში ჩავკეტოთ ეს ლაწირაკი, სანამ მამამისი და მისი მეგობრები არ მოვლენ. მერე კი ყველას ერთად ამოვბუგავთ! — გადაიხარხარა ზაფასმა და მთელი ტანი აუთახთახდა.

გვარდიელებმა ბიჭი სახლში შეათრიეს, ყველა კარი ჩაუკეტეს.

— ეზოს ალყა შემოარტყით, აბა, სწრაფად, არავინ დაგინახოთ! — ესმოდა ყანსოუს ზაფასის ბრძანება.

ძალაგამოცლილი ყანსოუ ჩამქრალ კერასთან ჩამოჯდა სკამზე. ოთახში ბნელოდა, ციოდა... ბიჭმა ხელები წაივლო თავში: „რა ვქნა,

როგორ მოვიქცე, საცაა ისინიც მოვლენ, ეჭვადაც არ გაივლებენ გულში, რომ აქ...“

ნეტავ არ ჩაეკეტათ, როგორმე დაუსხლტებოდა ხელიდან გვარდიელებს, მამას იპოვიდა, გააფრთხილებდა, მაგრამ როგორ, აქედან თავს ვერაფრით დააღწევს, ყველა კარი და გასასვლელი ჩაკეტილია. ყანსოუ ადგა, ოთახში ბორიალს მოჰყვა... ტიროდა.

„როგორ მოვიქცე, საცაა მოვლენ. ჩასაფრებული გვარდიელები სროლას აუტეხენ... მერე ვინღა დაეხმარება ღარიბებს, ვინღა გადაუხდის ზაფასს სამაგიეროს... ცოცხლად გადარჩენილი თავადი სულს ამომხდის, მაწამებს, თვითონ კი მთელი სოფლის გასაგონად იხორხოცებს დამცინავად, ბილწად. ქოხები კი უპატრონოდ მიტოვებული ბავშვების მოთქმა-ტირილით აივსება. გოლიათებიც გაქრებიან. აღარსად იქნება თეთრ ღრუბლად გაწოლილი მათი ჩიბუხის კვამლი. აღარსად იქნება მამა, იმედი...“

ყანსოუ აქეთ-იქით აწყდება, ხან გაციებულსა და დანესტიანებული ნაცრით სავსე კერასთან გაჩერდება, ხანაც თავის საწოლთან შედგება, — რამდენი ტკბილი სიზმარი უნახავს ამ საწოლში, — ხან კი დაბალ, დამტვერიანებულ სუფრას მიუახლოვდება. ეჰ, რა კარგი იყო ის დრო, ამ სუფრას რომ შემოუსხდებოდნენ და ყველანი ერთად სადილობდნენ... რა ქნას, როგორ უშველოს მამასა და მის მეგობრებს?!

უცბად გამოერკვა, რა ხანია ჯიბეში ხელჩაყოფილს კვესი ჩაუბღუჯავს... დაფიქრდა, თითქოს რაღაც მოაგონდა, გული იმედის სხივმა გაუნათა. აღარ ტიროდა. ცრემლი შეიმშრალა და სხვენზე აძვრა. იცოდა, სხვენზე თივა ჰქონდათ შენახული. ისიც იცოდა, თუ სოფელში საშიშროება იყო, მამა და მისი მეგობრები ამ სხვენზე თივაში ათევდნენ ღამეს. ყანსოუმ სული მოითქვა. მერე ბევრი აღარ უფიქრია, ჯიბიდან კვეს-აბედი ამოაძვრინა. გამოკვესა, აბედს სწრაფად მოეკიდა ცეცხლი. ყანსოუმ კვესი ისევ ჩაიდო ჯიბეში, ერთი

ბლუჯა თივა მოაგროვა, ცეცხლმოდებული აბედი ჩადო და სული შეუბერა. მერე თივაში მოისროლა ანთებული ბლუჯა.

„ცეცხლს რომ დაინახავენ, ყველაფერს მიხვდებიან, — ბიჭი უკვე ხმამაღლა ბუტბუტებდა, — ჯერ სადა ხარ, ზაფას, მალე შავი დღე დაგადგება!“

თივა სწრაფად აბრიალდა. ყანსოუს შიშით გული შეუქანდა. „იქნებ ცეცხლი არც იყო საჭირო. არა, ტყუილად მეშინია, საცაა მოვლენ, მომისწრებენ. მანამდე კუთხეში მივიყუჟები, მოვითმენ. მერე მამა მოვა და მომეშველება“. — თავს იმხნევებდა ბიჭი.

ცეცხლი მთელ სხვენს მოედო. ყანსოუ უკან-უკან იხევდა შეშინებული. რაღაცას წამოედო. მოიხედა, თავისი აკვანი დაინახა, დედა რომ მოკვდა, ამ სახლში აკვანი აღარ დასჭირვებიათ, სხვენზე შეაგდეს...

„დროზე რომ არ მომესწრო, დაიწვებოდა,“—ყანსოუმ ხელი დაავლო აკვანს. ცეცხლის ალი მისკენ მოიწევდა. ტკაცატკუცით იწვოდა ჭერი, იატაკი, კედლები. გვარდიელები არ ისროდნენ. საგულდაგულოდ ჩასაფრებულებს, ეტყობა, ეშინოდათ, თავი არ გაეცათ. ყანსოუ კუთხეში მიიყუჟა, თვალებგაფართოებული შესცქეროდა ალმოდებულ სახურავს. კვამლი ახრჩობდა, ცეცხლი სწვავდა. უცებ გარს მომდგარ ცეცხლში შვიდფერი ცისარტყელა დაინახა თვალცრემლიანმა. „მოვლენ, უსათუოდ მოვლენ! — დაიყვირა ბიჭმა. — ცისარტყელას ვხედავ. ცისარტყელა დარს და თეთრ ღრუბლებს მოიტანს თან!“ ცეცხლის რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. „მოვლენ, უსათუოდ მოვლენ!“ — ცრემლნარევი ხმით გასძახოდა ღამეს ყანსოუ, მერე კი კვამლმა საშველი არ მისცა, ყველაფერი უკუნეთში დაინთქა...

გამთენიისას წვიმა წამოვიდა. აწვიმდა დანახშირებულ სახლს, რომლის ირგვლივაც ოცდაათამდე შეიარაღებული ვაჟკაცი იდგა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუდმოხდილი. მაღალი, შავგვრემანი მეთაური ყანსოუს მამა იყო. თმაში ჭაღარა გარეოდა. მძიმედ თავდახრილი იდგა იგი თავისი დანახშირებული სახლისა და ბიჭის წინაშე.

ისინი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, მხოლოდ ეს არის, უშიშარი გული ედოთ მკერდში.

ღამით, სოფელში რომ შევიდნენ, მაშინვე დაინახეს, მეთაურის სახლი იწვოდა. მიხვდნენ, მძიმე ბრძოლა ელოდათ. გათენებამდე ისმოდა თოფების გრიალი, ყიჟინი, გათენებამდე ელავდნენ სატევრები, სახლი კი იწვოდა. ყანსოუს მამის რაზმელებმა გვარდიელები ამოჟლიტეს. ვინც ცოცხალი გადარჩა, კუდამოძუებული გაიქცა სოფლიდან, ზაფასიც მათ მიჰყვა, მათთან ერთად გადაიკარგა. დაიგვიანეს მეომრებმა, ბრძოლაგადახდილებმა ვერ მიუსწრეს ყანსოუს.

დიდი სამარე გათხარეს. დანახშირებული ბიჭი მისივე სახლის ფერფლთან ერთად დამარხეს. ქუდმოხდილი მეომრები დიდხანს იდგნენ მდუმარედ უჩვეულო საფლავთან. მერე მობრუნდნენ და აღმოსავლეთის გზას დაადგნენ. საბრძოლველად მიდიოდნენ. წინ ყანსოუს მამა მიუძღოდათ.

წვიმამ გადაიღო. მზემ ღრუბლებიდან გამოაჭყიტა. მთებსა და მდინარეს შორის გამარჯვების თაღივით ჩადგა ცისარტყელა. ირგვლივ შვიდფერად ბრწყინავდა ყოველივე.

მიილია შემოდგომა, გავიდა ზამთარი. დადგა თბილი, წყნარი გაზაფხული. სოფელში ყანსოუს მამისა და მისი მებრძოლების სისხლით მოპოვებული თავისუფლება და ბედნიერება დამკვიდრდა. უშიშარი მეთაური გმირთა სიკვდილით დაეცა სახალხო საქმისათვის ბრძოლაში.

უგზოუკვლოდ გადაიკარგა ზაფასი. ქოხებში სინათლე ჩადგა. ზაფასის ქათქათა სახლი ბავშვების ჟრიამულმა აავსო: ყანსოუს თანატოლებისათვის სკოლა გახსნეს.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. მთები კვლავინდებურად ათასნაირად იცვლიან ფერს. ცამოწმენდილზე პატარა, თეთრი, ფუნჩულა ღრუბლის ქულა გამოჩნდება ხოლმე — გოლიათები ჩიბუხს სწევენ მთების გადალმა. ყანსოუს სოფელში სადღა ნახავთ მინგრეულ-მონგრეულ ქოხებს. ცისკენ გაუწვდიათ მილები ქარხნებსა და ფაბრიკებს. ცის სილურჯეში თეთრ კვალს ტოვებენ რეაქტიული თვითმფრინავები. ეს კვალი სიცოცხლის და სიმშვიდის კვალია. ეს არის ძალა თავისუფალი ხალხისა. აკი ამბობდა ყანსოუ, გოლიათები თუ მოინდომებენ, ზეცასაც შესწვდებიანო.

ამ ბედნიერ დღეს არავის ავიწყდება ყანსოუ, ყანსოუს მამა და ათასობით სხვა გმირი, ვინც თავი დადო სახალხო საქმისათვის.

ახლაც, წვიმა რომ გადაიღებს, მთებსა და მდინარეს შორის ჩადგება ცისარტყელა. ყანსოუს თანატოლები მოჯადოებული შესცქერიან სიკეთის მომტანს... ის კი გვირგვინად დადგომია მიდამოს და ანთია შვიდფერად.

С(Абх)2
894.611.3-93
Г 618
7—6—2

Гогуа Алексей Ночиевич
РАДУГА
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1969

უმცროსი სასკოლო ასაკის
მკითხველთათვის

რედაქტორი ქ. ქუჩუკაშვილი, მხატვარი ჯ. ლოლუა, მხატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი, ტექრედაქტორი ლ. ქვარცხავა, კორექტორი თ. ინჯია. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V 69 წ; ქაღალდის ზომა 70×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 1; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი. 0, 81 ტირ. 5,000 შეკვ № 445 ფასი 10 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადულის", მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили, № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2, „ნაკადული", თბილისი ფურცელაძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5